

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

ზოგადი განათლება

LGLS103001 სამართლის საფუძვლები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

სამართლის საფუძვლების კურსი მოიცავს ლექციებსა და სემინარებს სამართლის საჭიროების, სამართლებრივი წესების სისტემების, სამართლისა და უფლებების და სამართლის ლეგიტიმაციის გავრცელებული თეორიების შესახებ. კურსი განიხილავს სახელმწიფოს წარმოშობისა და თანამედროვე, ერი სახელმწიფოს ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, მმართველობითი სისტემის პრინციპებს, რომელიც განსაზღვრავს სახელისუფლებო სისტემის მოქმედების სამართლებრივ ჩარჩოს. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამართლის სისტემის ორგანიზაციის პრინციპებს.

კურსი ასევე განიხილავს თანამედროვე სამართლებრივი წესრიგის საფუძველზე საზოგადოებისათვის შექმნილ სიკეთეებს:

- უსაფრთხოებას - რომელიც იქმნება სისხლის სამართლის საფუძველზე;
- კერძო სამართალს, როგორც სამართლებრივ ჩარჩოს კერძო მიზნების რეალიზაციისათვის;
- კერძო სამართლის საფუძველზე შექმნილ სამართლებრივ ინსტიტუტებსა და პრინციპებს;
- სახელმწიფოს მიერ საჯარო სიკეთეების უზრუნველყოფის სამართლებრივ ჩარჩოს;
- ადმინისტრაციული აპარატის მოქმედების სამართლებრივ სისტემასა და პრინციპებს;

სახელმწიფოთა ურთიერთობის სამართლებრივ წესებსა და პრინციპებს;

HIST106020 ძველი მსოფლიოს ისტორია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსში წარმოდგენილია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების, ასევე ჩინეთისა და ინდოეთის ისტორიის ძირითადი საკვანძო საკითხები. პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ისტორიასთან ერთად განიხილება ის რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობები, რომლებიც ასე რიგად განსხვავებს ამ სამყაროს დანარჩენი მსოფლიოსაგან. ამას გარდა კურსში სტუდენტები შეისწავლიან ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიის ძირითად მოვლენებს. განხილული იქნება კრეტისა და მიკენური ცივილიზაციების ისტორია, ბერძნული პოლისები ათენისა და სპარტას მაგალითზე. ანტიკური ეპოქის ბერძნების ყოველდღიური ცხოვრება. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რომის ისტორიას. განიხილება რესპუბლიკის პერიოდის სახელმწიფო წყობილება, საშინაო და საგარეო პოლიტიკა; სამოქალაქო ომები, პირველი და მეორე ტრიუმვირატი, შიდა დაპირისპირებები და რესპუბლიკური წყობილების რღვევა; პრინციპატი და პირველი იმპერატორები; დომინანტი, ქრისტიანობის როლი რომის ისტორიაში, იმპერიის ორ ნაწილად გაყოფა.

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

SOC304008 სოციოლოგია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

სალექციო კურსი *სოციოლოგია* განიხილავს სოციოლოგიურ თეორიას და კვლევას, როგორც სოციუმის შემეცნების გზას. კურსი აგებულია ძირითადი სოციოლოგიური პარადიგმების ემპირიული რეალობის მიმართ აპლიკაციის პრინციპზე. ამ მიზნით, ყურადღება გამახვილებულია საშუალო რანგის თეორიების ფარგლებში არსებულ კვლევებზე, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს გაიგოს პარადიგმის ემპირიზაციის პროცესი. გარდა ამისა, კურსი ხაზს უსვამს სოციალური მოვლენების მულტიფაქტორული ახსნის უპირატესობას და შესაბამისად, უჩვენებს ერთფაქტორული თეორიების შეზღუდულობას.

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან საზოგადოებაში მოქმედ იმ ბაზისურ მექანიზმებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის სოციალური წესრიგის არსებობას. კურსი სტუდენტებს წარმოუდგენს:

- სოციოლოგიის კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს;
- სოციოლოგიური კვლევის მეთოდების მიმოხილვას;
- სოციალური ინსტიტუტების, სოციალური ცვლილებების, ჯგუფური ქცევის და სხვა სოციალური ფენომენების არსს.
- პიროვნების, ჯგუფის და უფრო ფართო სოციუმის ურთიერთმიმართებას.

გარდა ამისა, ყურადღება ეთმობა ტრანზიტული საზოგადოებების პრობლემებს, რაც სტუდენტებს საშუალებას მისცემს გაიაზრონ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები სოციოლოგიურ პერსპექტივაში.

SOC304007 სოციალური ფსიქოლოგია

პრერეკვიზიტი: ფსიქოლოგია

ძალიან ზოგადად, სოციალური ფსიქოლოგია არის მეცნიერება იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ ადამიანები ერთმანეთის შესახებ, რა დამოკიდებულებებში არიან, როგორ ზემოქმედებენ ერთმანეთზე და როგორ გამოიხატება ეს ყველაფერი ქცევაში. რა კანონზომიერებები განსაზღვრავს ადამიანებს შორის სიმპათია-ანტიპათიას, რატომ ვიქცევით ზოგჯერ ჩვენი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, რატომ ვებმარებით და რატომ არ ვებმარებით სხვებს, რა „როლებს“ ვთამაშობთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ ვიცავთ თავმოყვარეობას, რატომ მივმართავთ აგრესიას, როგორ ვაფასებთ საკუთარ თავსა და სხვებს, როგორ ყალიბდება შეხედულებები და როგორ იცვლება – ყოველივე ამას და კიდევ მრავალ სხვას მოიცავს სოციალური ფსიქოლოგიის კურსი.

ECO104014 ეკონომიკური განვითარების ისტორია

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები

ეკონომიკური განვითარების ისტორია არის ამოსავალი, ავხსნათ, თუ როგორ გამდიდრდნენ დღევანდელი განვითარებული ქვეყნები და რატომ ვერ აღწევს იგივე წარმატებას მრავალი ქვეყანა. განვითარების ისტორიის ცოდნა და გააზრება დაგვეხმარება ეფექტურად გადავჭრათ ქვეყნის ეკონომიკის წინაშე მდგარი რთული პრობლემები, ასევე, პრევენცირება მოვახდინოთ შესაძლო ეკონომიკური კრიზისების. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური განვითარების ძირითადი პრინციპების ცოდნასა და არგუმენტირებული ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათთვის, ვინც აპირებს საქმიანობას საერთაშორისო და

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ან თუნდაც, ადგილობრივსა თუ გლობალურ ბიზნესში, რადგან სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობით ყალიბდება.

პრაქტიკული განათლება

PRAC103003 საველე სამუშაო პრაქტიკა I

პრერეკვიზიტი: არ აქვს

საველე პრაქტიკა არის თავისუფალი უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სტუდენტთათვის სავალდებულოა. პრაქტიკის გავლა მოიცავს სტუდენტთა ჯგუფების გამგზავრებას პრაქტიკის ადგილზე. პრაქტიკის დაწყებამდე, სტუდენტთა ჯგუფებს შორის ხდება ამოცანების გადანაწილება. შესაბამისად, პრაქტიკის მსვლელობისას, ამ ამოცანებიდან გამომდინარე, მიმდინარეობს კონკრეტული აქტივობების განხორციელება. აქტივობები მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი და შემეცნებითი მიზნების მიღწევას. საველე პრაქტიკას უძღვევა ჯგუფის კოორდინატორი. პრაქტიკა შესაძლებელია იყოს ანაზღაურებადი.

INTS405900 მუშაობა ორგანიზაციაში

პრერეკვიზიტი: არ აქვს

პრაქტიკა არის თავისუფალი უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის სტუდენტისთვის სასწავლო გეგმის აუცილებელი ნაწილი და გრძელდება ერთი სემესტრის განმავლობაში; სასწავლო პრაქტიკა შეიძლება იყოს როგორც ანაზღაურებადი, ასევე ანაზღაურების გარეშე.

ძირითადი განათლება

HIST204026 საქართველო და კავკასია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის ამოცანა ორგვარია, რომე რთი მხრივ სტუდენტები გაეცნონ სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ძირითად თეორიებსა და მეთოდოლოგიებს და შეძლონ მათი ადაპტაცია კავკასიის კულტურულ სივრცეში და მეორე მხრივ გაეცნონ თვითონ იმ რთულ გეო-პოლიტიკურ, კულტურულ, ეთნიკურ თუ რელიგიურ ლანდაშაფტს, რასაც ფართო გაგებით ვუწოდებთ კავკასიას. ისტორიულ პერსპექტივაში დაინახონ თუ როგორ ყალიბდებოდა კავკასია, როგორც ერთეული და დასვან კითხვა, საბოლოო ჯამში კავკასია არის ერთიანობის აღმნიშვნელი სახელი თუ პირიქით, მუდმივი დიზინტეგრაციისა. კითხვები, რომლებიც დაისმება და კურსის მანძილზე შევეცდებით პასუხი გავცეთ, არის მრავალმხრივი: რამდენად ლეგიტიმურია 'კავკასია' როგორც პოლიტიკური ან კულტურული ტერმინი? რას ნიშნავს ეთნოსები, ნაციები და იდენტობები კავკასიურ კონტექსტში?

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები**

შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგადად კავკასიაზე, თუ ცალკე უნდა განვიხილოთ ამიერ და იმიერ კავკასია დიაქრონიულ ჭრილში? როგორია კავკასიის რელიგიური ლანდშაფტი, როგორ ყალიბდებოდა ის და რა გავლენას ახდენს თანამედროვე კავკასიაზე? რას ნიშნავს ქრისტიანული კავკასია და რას ნიშნავს ისლამური კავკასია? რა როლს თამაშობა კავკასია იმპერიებს შორის კონფლიქტებში, იქნება ეს რომი და ირანი, ბიზანტია და მუსლიმური სამყარო, საფავიდების ირანი თუ ოსმალური თურქეთი და ცხადია, რუსეთის იმპერია? როგორი იყო და არის რუსული იმპერიული პოლიტიკა კავკასიის მიმართ, როგორ ყალიბდებოდა რუსული პოლიტიკა და როგორ ტარდებოდა ის მეთვრამეტე საუკუნეში, მეცხრამეტე საუკუნეში, კომუნისტურ პერიოდში და დღეს? როგორ აღიქვამდნენ და აღიქვამენ საკუთარ თავს ე.წ. კავკასიელები და არსებობენ კი კავკასიელები? საბოლოოდ სად არის დღეს კავკასია და რა მომავალი აქვს მას საერთაშორისო პოლიტიკაში?

INTS306045 საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კურსი შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების აღწერას, მათ შედარებას და კრიტიკულ ანალიზს. გარდა ამისა კურსის ფარგლებში სტუდენტები გაანალიზებენ რამდენად შეიძლება აღნიშნული თეორიების გამოყენება საერთაშორისო პოლიტიკის კონკრეტული სიტუაციებისა და პროცესების ანალიზისათვის და რამდენად გამოსადეგია ეს თეორიები რეალური სიტუაციების ასახსნელად.

INTS206048 დიპლომატიის ისტორია და სამსახური

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი ეხება საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინისთვის ორ მნიშვნელოვან ასპექტს - საერთაშორისო ურთიერთობების/დიპლომატიის ისტორიას და დიპლომატიური საქმიანობის თანამედროვე ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. კურსი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე სახელმწიფოთაშორისი სისტემის ფორმირების ძირითად ეტაპების მიმოხილვას და ამ კონტექსტში მიმოხილავს პარალელურად მიმდინარე დიპლომატიური სამსახურის (ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა, საერთაშორისო კონფერენციები და ორგანიზაციები) განვითარებას. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია გაანალიზებულია მნიშვნელოვანი პრობლემების მაგალითებზე დაყრდნობით.

POLS306018 კონფლიქტები და საერთაშორისო ურთიერთობები

პრერეკვიზიტი: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები კურსის ფორმალური
პრერეკვიზიტი არ არის, მაგრამ კონფლიქტების ესკალაციისა და მოგვარების
პროცესების ანალიზისას საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებიც იქნება
გამოყენებული.

კურსი მოიცავს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების ანალიზს როგორც არსებული თეორიების, ასევე კონკრეტული მაგალითების გამოყენებით. კურსი ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში სტუდენტები შეისწავლიან კონფლიქტების შესახებ თეორიებს და გაეცნობიან კონფლიქტის ტიპებს, მათი წარმოშობის მიზეზებს, კონფლიქტის მხარეების ქმედებას და კონფლიქტის დარეგულირების გზებს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით; ასევე გაეცნობიან იმ კონცეფციებს, რომლებიც მათ კონფლიქტებისა და მათი მოგვარების ანალიზში დაეხმარებათ, მაგალითად ნაციონალიზმი, სეცესია, თვითგამორკვევის უფლება, ფედერალიზმი.

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები**

კურსის მეორე ნაწილში სტუდენტები შეისწავლიან კონკრეტულ კონფლიქტებს და მათ ანალიზს არსებული თეორიებისა და კონცეფციების გამოყენებით. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებზე, როგორებიც არის კვიპროსის, დნესტრისპირეთის (მოლდავეთი), აფხაზეთის კონფლიქტები; სეცესიონისტურ კონფლიქტებზე, როგორებიც არის კატალონიისა და შოტლანდიის მცდელობა გამოეყონ შესაბამისად ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთს, და საერთაშორისო კონფლიქტებს, როგორიც არის სირიის კონფლიქტი. გარდა ამისა ყურადღება დაეთმობა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისა და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის თემას. სტუდენტები სხვადასხვა კონფლიქტებს შეადარებენ ერთმანეთს და გაანალიზებენ მათ მსგავსებებსა და განმასხვავებელ ნიშნებს კონფლიქტებში საერთაშორისო მოთამაშეების ჩართულობის კუთხით.

POLS306019 საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოება

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ტერორიზმი მე-20 საუკუნის მნიშვნელოვან ფენომენად იქცა. მიუხედავად ამისა, ტერორიზმის ზუსტი დეფინიცია ისევ დიდ სირთულეს წარმოადგენს. ტერორიზმი ნებისმიერი ერის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლის იარაღს წარმოადგენს, თუმცა განსხვავებულია ტერორიზმისადმი ამერიკული და ევროპული მიდგომა. დღეს თანამედროვე მსოფლიოში მრავალი ტერორისტული ორგანიზაცია მოქმედებს, რაც დიდ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა თუ ცალკეული ინდივიდების უსაფრთხოებას. ტერორისტული ორგანიზაციები ბრძოლის სხვადასხვა ხერხს მიმართავენ: გატაცება, მძევლების აყვანა, სუიციდური ბრძოლის მეთოდები და ა.შ. თანამედროვე მსოფლიო ცდილობს ებრძოდეს ტერორიზმს, რაც განსაკუთრებით აქტიურ ფაზაში 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ იორკში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ შევიდა.

POLS406020 საგარეო პოლიტიკის აკადემიური სიმულაცია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ეს კურსი წარმოადგენს თეორიის ერთგვარ შერწყმას პრაქტიკასთან. სტუდენტები განვლილი 7 სემესტრის მანძილზე შექმნილი ცოდნის შეჯამებას ახდენენ იმიტირებულ (გაერო, ევროკავშირი, ნატო,) სხდომებზე. მთლიანად ინტერაქტიულია და ითვალისწინებს სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას იმიტირებულ სხდომებში.

SOC204008 სოციალური კვლევის მეთოდები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

სტუდენტები დაეუფლებიან პრაქტიკულ გამოცდილებას თვისობრივი კვლევის განხორციელების ყველა ეტაპზე. კერძოდ, კურსი მოიცავს თვისობრივი კვლევის მეთოდებს, საკვლევი კითხვების განსაზღვრას, კვლევის დიზაინს, საკვლევი ინსტრუმენტების (მაგ. გაიდის/გზამკვლევის) შექმნას, სამიზნე ჯგუფის შერჩევას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს. ასევე კურსის ფარგლებში რამოდენიმე შეხვედრა დაეთმობა თვისობრივი მონაცემების დამუშავების პროგრამას (e.g QDA Miner 4).

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

ECO206019 საერთაშორისო ეკონომიკა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები

კურსი შეისწავლის საერთაშორისო ვაჭრობის საფუძვლებს, სხვადასხვა სახის საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკას და მათ გავლენას ქვეყნის კეთილდღეობაზე. განიხილება აგრეთვე საერთაშორისო ფინანსების ზოგიერთი საკითხი, მაგალითად საგადასახადო ბალანსი, საერთაშორისო სავალუტო კურსების სისტემათა ტიპები და მათი ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა

LGLS204027 საერთაშორისო სამართალი

პრერეკვიზიტი: სამართლის საფუძვლები

კურსის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართალი, რომელიც ძირითადად სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს. თანამედროვე სამყაროში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განვითარებასთან ერთად საერთაშორისო სამართლის როლი და რეგულირების სფერო იზრდება (მაგალიტად, საერთაშორისო სისხლის სამართლის განვითარება). ამასთან, გარკვეული საკითხების მიმართ სახელმწიფოთა არაერთგვაროვანი პრაქტიკა (მაგალითად, ძალის გამოყენების აკრძალვა) და პოლიტიკის გავლენა ქვეყნების ქცევასთან მიმართებაში (მაგალითად, სახელმწიფოთა აღიარების პოლიტიკა) კითხვებს ბადებს სისტემის სრულყოფილების შესახებ. შესაბამისად, კურსი შეისწავლის საერთაშორისო საჯარო სამართლის არსს და ბუნებას, სუბიექტებს, სამართლებრივ წყაროებს, სამართლებრივ ნორმათა მოქმედებისა და ასრულების საკითხებს. გარდა ამ ზოგადი ხასიათის კონცეპტუალური საკითხებისა კურსი მოიცავს საერთაშორისო საჯარო სამართლის რიგ კონკრეტულ მიმართულებებს, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე პროცესებისა და საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით.

POLS408021 მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზი

პრერეკვიზიტი: არ აქვს

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ანალიზის საგანი მოიცავს აქტუალური პოლიტიკური პროცესების შესახებ რეფლექსიას, მის კრიტიკულ გააზრებას და გარკვეული ტიპის დასკვნების გამოტანას, პროგნოზების კეთებას.

კონცენტრაცია: ახლო აღმოსავლეთი

HIST206027 ახლო აღმოსავლეთის ისტორია

პრერეკვიზიტი: ძველი მსოფლიოს ისტორია

ახლო აღმოსავლეთის რეგიონი სამი კონტინენტის: ევროპის, აზიის და აფრიკის გასაყარზე მდებარეობს, რაც მას ძველთაგანვე განსაკუთრებულ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ახლო აღმოსავლეთი ემეზობლება ავღანეთსა და პაკისტანს, თურქმენეთს, სამხრეთ კავკასიას, ბალკანეთს, მალრიბს და სუდანს. ახლო აღმოსავლეთის რეგიონი აერთიანებს ისეთ ქვეყნებს, როგორცაა: თურქეთი, კვიპროსი, ირანი, საუდის არაბეთი, ომანი, იემენი, კატარი, ბაჰრეინი, არაბული გაერთიანებული საამიროები, ქუვეითი, ერაყი, ლიბანი, სირია, ეგვიპტე. იორდანია, ისრაელი. ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მოიცავს იმ ტერიტორიას, რომლის დიდი ნაწილი ოსმალეთის და სპარსეთის იმპერიების შემადგენლობაში I მსოფლიო ომამდე შედიოდა. ეს რეგიონი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები**

არის სამი მონოთეისტური რელიგიის სამშობლო: იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი. აქ მდებარეობს ამ რელიგიების წმინდა ადგილების დიდი ნაწილი. რეგიონის ძირითადი კულტურულ-ისტორიული გამაერთიანებელი ისლამი არის (მხოლოდ ისრაელსა და კვიპროსში არამუსლიმი მოსახლეობა სჭარბობს).

შეერთებული შტატების გამარჯვება ერაყზე 1990-91 წლების სპარსეთის ყურის ომში, შემობრუნების წერტილი გახდა ახლო აღმოსავლეთის უახლეს ისტორიაში, ვინაიდან ამ გამარჯვების წყალობით ვაშინგტონმა, 90-იანი წლების დასაწყისში დაიყოლია ისრაელის მტრები, მხარი დაეჭირათ ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესისთვის. დღეს, როცა 20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერაყის ჯარი გაძევებულ იქნა კუვეიტიდან, შეერთებული შტატების მიერ სადამ ჰუსეინის დამხობამ რადიკალურად შეცვალა პოლიტიკურ ლანდშაფტი, ბევრი პრობლემა მოუგვარებელი რჩება.

PH304014 ახლო აღმოსავლეთის რელიგიები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

ახლო აღმოსავლეთი არის სამი მონოთეისტური რელიგიის – იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი – სამშობლო. რელიგია დიდ როლს თამაშობს რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში და რეგიონში მცხოვრები ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. იუდაიზმი ისრაელის სახელმწიფოს დომინანტური რელიგიაა; ქრისტიანობა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში წარმოიშვა, ამჟამად მხოლოდ ანკლავების სახითაა წარმოდგენილი და ქრისტიანთა რაოდენობა დღითიდღე მცირდება. კვიპროსი რეგიონის ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანაა. ქრისტიანები ასევე ცხოვრობენ ლიბანში (მარონიტები), სირიაში (მართლმადიდებლები, კათოლიკები), ეგვიპტეში (კოპტები), ირანში (სომეხი გრიგორიანელები). რეგიონში მცირე რაოდენობის მიმდევრები ყავს ანგლიკანურ, ლუთერანულ და პროტესტანტულ ეკლესიებს. ისლამი არის რეგიონის 12 ქვეყნის სახელმწიფო რელიგია. სუნიტური ისლამი დომინირებს თურქეთსა და არაბულ ქვეყნებში, გარდა ერაყისა. ირანსა და ერაყში შიიზმია გავრცელებული. მუსლიმთა 90% სუნიტია, 10% – შიიტია.

ECO306017 ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები, საერთაშორისო ეკონომიკა

საგანი „ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა“ შეგასწავლით აღნიშნულ რეგიონში – ახლო აღმოსავლეთში – მდებარე ქვეყნების ზოგად ეკონომიკურ მახასიათებლებს, ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპებს ისტორიულ ჭრილში, მათ ამჟამინდელ ადგილს ზოგიერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო რეიტინგში და ა.შ. აგრეთვე, უფრო სიღრმისეულად იქნება შესწავლილი რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები და ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა.

PHIL306019 ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურა

პრერეკვიზიტი: არაბული ენა IV, სპარსული ენა IV, თურქული ენა IV

ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურა ძირითადად მოიცავს არაბულ, სპარსულ, თურქულ და ებრაულ ლიტერატურებს. არსებობს ურთიერთგავლენები და ურთიერთმიმართებები ლიტერატურული ურთიერთობების დონეზე, რაც თვალსაჩინოა ხსენებული ლიტერატურების შედარებითი დახასიათების დროს. ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურის ქრონოლოგია, გეოგრაფიული ჩარჩოები და კლასიფიკაცია სასულიერო (რელიგიურ-ფილოსოფიურ) და საერო ლიტერატურად წარმოაჩენს

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები**

ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მიერ შექმნილ მდიდარ ლიტერატურას, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია. იგი არის წინა აზიის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

FLS107136 არაბული ენა 1

პრერეკვიზიტი: არ აქვს

არაბული ენა სემიტური ენების ოჯახს განეკუთვნება. სალიტერატურო არაბულის ჩამოყალიბება იწყება წინაისლამურ ხანაში. გავრცელებულია ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდ. აფრიკის სახელმწიფოებში. მასზე ლაპარაკობს 260 მლ-ზე მეტი ადამიანი. ზეპირი და წერილობითი ფორმით არის არაბულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ენა. ლიტერატურულ არაბულზე იქმნება მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, გამოიყენება რადიოსა და ტელევიზიაში, სასწავლო დაწესებულებებში. პარალელურად არსებობს ტერიტორიული დიალექტები, რომელზედაც არაბები ყოველდღიურად ურთიერთობენ.

FLS107137 არაბული ენა 2

პრერეკვიზიტი: არაბული ენა 1

ამ ეტაპზე სტუდენტის სასტარტო დონეა A1, პროგრამა ითვალისწინებს ენის სწავლების მეორე ეტაპზე გათვალისწინებულ მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხების ცოდნას. ვებმარებით სტუდენტს ტექსტების მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზის ჩვევის გამომუშავებაში, რაც ზოგადად სწორი თარგმანის წინა პირობაა.

FLS207138 არაბული ენა 3

პრერეკვიზიტი: არაბული ენა 2

ამ ეტაპზე სტუდენტის სასტარტო დონე არის A2.1. ჩვენი მიზანია მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების სიღრმისეული სწავლება, რაც ეხმარება სტუდენტს თემატურად მრავალფეროვანი, მაგრამ საშუალო სირთულის უხმოვნო ტექსტების წაკითხვასა და თარგმანში, როგორც არაბულიდან ქართულად, ასევე პირუკუ. ასევე აუცილებელია ანდაზების, იდიომური ფრაზეოლოგიის, პოეზიის ნიმუშების ზეპირად დასწავლა, ცოცხალი არაბული მეტყველებისა და აუდიო-კასეტების მოსმენა, როგორც დამოუკიდებლად, ისე სემინარებზე, რაც უადვილებს სტუდენტს ლექსიკის აქტიურ გამოყენებას.

FLS207139 არაბული ენა 4

პრერეკვიზიტი: არაბული ენა 3

ამ ეტაპზე სტუდენტის სასტარტო დონე არის Pre-Intermediate (A2).

სემესტრის დასასრულს მათი დონე უნდა შეესაბამებოდეს Threshold (Intermediate) B1-1 დონეს.

ჩვენი მიზანია მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების სიღრმისეული სწავლება, რაც ეხმარება სტუდენტს თემატურად მრავალფეროვანი, მაგრამ საშუალო სირთულის უხმოვნო ტექსტების

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები**

წაკითხვასა და თარგმანში, როგორც არაბულიდან ქართულად, ასევე პირუკუ. ასევე აუცილებელია ანდაზების, იდიომური ფრაზეოლოგიის, პოეზიის ნიმუშების ზეპირად დასწავლა, ცოცხალი არაბული მეტყველებისა და აუდიო-კასეტების მოსმენა, როგორც დამოუკიდებლად, ისე სემინარებზე, რაც უადვილებს სტუდენტს ლექსიკის აქტიურ გამოყენებას.

FLS307140 არაბული ენა 5

პრერეკვიზიტი: არაბული ენა 4

ამ ეტაპზე სტუდენტის სასტარტო დონე არის Threshold (Intermediate) B1. სასწავლო სემესტრის დასასრულს მათი დონე უნდა შეესაბამებოდეს B1.2. კურსის მიზანია სტუდენტმა უკეთ შეძლოს მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების პრაქტიკული გამოყენება ტექსტების გარჩევის დროს, რაც სწორი თარგმანის წინა პირობაა, როგორც არაბულიდან ქართულად, ასევე – პირუკუ. ძალიან დიდია ანდაზების, იდიომატური გამოთქმების, პოეზიის ნიმუშების ზეპირად სწავლის, ცოცხალი არაბული მეტყველებისა და აუდიო-კასეტების მოსმენის როლი, როგორც დამოუკიდებლად, ისე სემინარებზე, რაც ააქტიურებს სტუდენტის ლექსიკას.

FLS307141 არაბული ენა 6

პრერეკვიზიტი: არაბული ენა 5

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ტექსტოლოგიური და საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე. ამ ეტაპზე სტუდენტის სასტარტო დონე არის B1.2 სასწავლო სემესტრის დასასრულს მათი დონე უნდა შეესაბამებოდეს B2.2 ჩვენი მიზანია დავეხმაროთ სტუდენტს მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების პრაქტიკულ გამოყენებაში ტექსტების გარჩევის დროს, რაც სწორი თარგმანის წინა პირობაა, როგორც არაბულიდან ქართულად, ასევე – პირუკუ. ძალიან დიდია ანდაზების, იდიომატური გამოთქმების, პოეზიის ნიმუშების ზეპირად სწავლის, ცოცხალი არაბული მეტყველებისა და აუდიო-კასეტების მოსმენის როლი, როგორც დამოუკიდებლად, ისე სემინარებზე, რაც ააქტიურებს სტუდენტის ლექსიკას.

FLS407142 არაბული ენა 7

პრერეკვიზიტი: არაბული ენა 6

ამ ეტაპზე სტუდენტის სასტარტო დონე არის B2. 1, სასწავლო სემესტრის დასასრულს მათი დონე უნდა შეესაბამებოდეს B2. 2 დონეს. ჩვენი მიზანია დავეხმაროთ სტუდენტს მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების პრაქტიკულ გამოყენებაში ტექსტების გარჩევის დროს, რაც სწორი თარგმანის წინა პირობაა, როგორც არაბულიდან ქართულად, ასევე – პირუკუ. ძალიან დიდია ანდაზების, იდიომატური გამოთქმების, პოეზიის ნიმუშების ზეპირად სწავლის, ცოცხალი არაბული მეტყველებისა და აუდიო-კასეტების მოსმენის როლი, როგორც დამოუკიდებლად, ისე სემინარებზე, რაც ააქტიურებს სტუდენტის ლექსიკას.

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

FLS407143 არაბული ენა 8

პრერეკვიზიტი: არაბული ენა 7

ამ ეტაპზე სტუდენტის სასტარტო დონე არის B2.2. ჩვენი მიზანია არაბული ენის უფრო ღრმა სწავლება: ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ზეპირი და წერილობითი თარგმანის დახვეწა, სასაუბრო მეტყველების, აუდიომასალის მოსმენისა და გაგების ჩვევის გამომუშავება, გრამატიკის ცოდნის განმტკიცება სავარჯიშოების სისტემატური შესრულებით. სხვადასხვა შინაარსის ტექსტების კითხვა (საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, კულტურის, ისტორიისა და მხატვრული ლიტერატურის სფეროდან) სტუდენტს გაუადვილებს თემატურად განსხვავებული ტექსტების გაგებას. ენის შესწავლასთან ერთად სტუდენტი ეცნობა არაბთა ისტორიას, კულტურულ მემკვიდრეობას, ლიტერატურას, ყოფას.

FLS403184 ბიზნესის არაბული ენა 1

პრერეკვიზიტი: არაბული ენა IV

ეკონომიკურად განვითარებულ არაბულ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობა პერსპექტივას უქმნის არაბული ენის მცოდნეებს დაამყარონ და განავითარონ ბიზნეს კავშირები არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, ქუვეითთან, ომანთან, კატართან, ბაჰრეინთან, საუდის არაბეთთან და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან. აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება ბიზნეს არაბულის კურსი, რომელიც განკუთვნილია მეშვიდე და მერვე სემესტრებისათვის. წინამდებარე სილაბუსი მოიცავს მეშვიდე სემესტრში დასამუშავებელ საკითხებს, როგორცაა: ისლამური ეკონომიკის საფუძვლები, ბიზნეს არაბულის ტერმინოლოგიური ბაზა, საქმიანი ურთიერთობების სხვადასხვა დონეების ამსახველი არაბული ტექსტებისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის დამუშავება, საქმიანი მიმოწერისა და ბიზნეს ხელშეკრულებების სპეციფიკაში გარკვევა.

FLS403136 ბიზნესის არაბული ენა 2

პრერეკვიზიტი: ბიზნესის არაბული ენა 1

ეკონომიკურად განვითარებულ არაბულ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობა პერსპექტივას უქმნის არაბული ენის მცოდნეებს დაამყარონ და განავითარონ ბიზნეს კავშირები არაბთა გაერთიანებულ საემიროებთან, ქუვეითთან, ომანთან, კატართან, ბაჰრეინთან, საუდის არაბეთთან და სხვა არაბულ სახელმწიფოებთან. აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება ბიზნეს არაბულის კურსი, რომელიც განკუთვნილია მეშვიდე და მერვე სემესტრებისათვის. წინამდებარე სილაბუსი მოიცავს მეშვიდე სემესტრში დასამუშავებელ საკითხებს, როგორცაა: ისლამური ეკონომიკის საფუძვლები, ბიზნეს არაბულის ტერმინოლოგიური ბაზა, საქმიანი ურთიერთობების სხვადასხვა დონეების ამსახველი არაბული ტექსტებისა და შესაბამისი ტერმინოლოგიის დამუშავება, საქმიანი მიმოწერისა და ბიზნეს ხელშეკრულებების სპეციფიკაში გარკვევა.

FLS107059 თურქული ენა 1

პრერეკვიზიტი: არ აქვს

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები**

თურქული ენა არის თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. მასზე, 2014 წლის მონაცემებით 80 მილიონზე მეტი კაცი ლაპარაკობს. თურქულ ენათა ოჯახში შემავალი სხვა ენებისგან გამოსარჩევად მას „თურქეთის თურქულს“ და „ანატოლიის თურქულსაც“ უწოდებენ. ანატოლიის თურქული თურქულ ენათა ოჯახის ოღუზურ ჯგუფში შედის. XIII საუკუნიდან XX საუკუნის დასაწყისამდე (1928 წ.) ოსმალური (არაბული) დამწერლობა იყო. ათათურქის ინიციატივით თურქეთის საენათმეცნიერო საზოგადოებამ შემოიკრიბა მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები, პედაგოგები და დაიწყო ენის რეფორმა, რომელიც დღემდე გრძელდება. 1928 წლიდან თურქები ლათინურ დამწერლობაზე გადავიდნენ. ენის რეფორმის ძირითადი მიზანი ენის თვითმყოფადობის დამკვიდრება, ჰემმარიტი სახის შექმნა იყო. ამისათვის იწყეს უცხო ლექსიკის განდევნა და მისი თურქული სიტყვებით ჩანაცვლება. ახალი ლექსიკისათვის წყაროდ იყენებდნენ ძველ თურქულ წერილობით ძეგლებს, თურქული ენის დიალექტებსა და თურქულ ენათა ოჯახში შემავალი ენების ლექსიკას. როცა ეს საკმარისი არ იყო, ხელოვნურად ქმნიდნენ ნეოლოგიზმებს თურქული ძირებიდან.

FLS107145 თურქული ენა 2

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 1

სასწავლო კურსი მოიცავს A2 დონეს. A2 დონეზე შეისწავლება: გრამატიკის დაწყებითი კურსი, სიტყვის სწორად გამოთქმა, მარტივი წინადადებების შედგენა-გამოყენება, სასაუბრო-საკომუნიკაციო ელემენტების ცოდნა და მარტივი გამონათქვამების გაგება, რომელთაც ხშირად ვიყენებთ. სტუდენტი შეისწავლის და თარგმნის თურქულ ტექსტებს, დიალოგებს, ლექსებს. ასევე შეისწავლის გრამატიკულ ტერმინებს თურქულ ენაზე.

FLS207146 თურქული ენა 3

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 2

სასწავლო კურსი მოიცავს B1 დონეს. B1 დონეზე შეისწავლება გრამატიკის სრული კურსი, აბსოლუტივების სწორად გამოყენება, რთული წინადადებების შედგენა-გამოყენება. სტუდენტი შეისწავლის და თარგმნის თურქულ ტექსტებს, დიალოგებს, ლექსებს; გაეცნობა თურქული ენის პრესის თავისებურებებს.

FLS107147 თურქული ენა 4

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 3

სასწავლო კურსი მოიცავს B1.2 დონეს. B1.2 დონეზე შეისწავლება გრამატიკის სრული კურსი, აბსოლუტივების სწორად გამოყენება, რთული წინადადებების შედგენა-გამოყენება. სტუდენტი შეისწავლის და თარგმნის თურქულ ტექსტებს, დიალოგებს, ლექსებს; გაეცნობა თურქული ენის პრესის თავისებურებებს.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

FLS107148 თურქული ენა 5

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 4

სასწავლო კურსი მოიცავს B1.2 დონეს. B1.2 დონეზე სტუდენტი შეისწავლის და თარგმნის სხვადასხვა ხასიათის სირთულის ტექსტებს, დიალოგებს, ლექსებს, ჟურნალ-გაზეთებს. გაეცნობა ოფიციალური მიმოწერის ფორმებს და სტრუქტურებს.

FLS107149 თურქული ენა 6

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 5

სასწავლო კურსი მოიცავს B2.1 დონეს. B2.1 დონეზე სტუდენტი შეისწავლის და თარგმნის სხვადასხვა ხასიათის სირთულის ტექსტებს, დიალოგებს, ლექსებს, ჟურნალ-გაზეთებს. გაეცნობა ოფიციალური მიმოწერის ფორმებს და სტრუქტურებს.

FLS107150 თურქული ენა 7

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 6

სასწავლო კურსი მოიცავს B2.2 დონეს. B2.2 დონეზე სტუდენტი შეისწავლის და თარგმნის სხვადასხვა ხასიათის სირთულის ტექსტებს, დიალოგებს, ლექსებს, ჟურნალ-გაზეთებს. გაეცნობა ოფიციალური მიმოწერის ფორმებს და სტრუქტურებს.

FLS107151 თურქული ენა 8

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 7

სასწავლო კურსი მოიცავს C1 დონეს. C1 დონეზე სტუდენტი შეისწავლის და თარგმნის სხვადასხვა ხასიათის სირთულის ტექსტებს, დიალოგებს, ლექსებს, ჟურნალ-გაზეთებს. გაეცნობა ოფიციალური მიმოწერის ფორმებს და სტრუქტურებს.

FLS403166 ბიზნესის თურქული ენა 1

პრერეკვიზიტი: თურქული ენა 4

თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკა სწრაფად ვითარდება. საქართველო–თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები წლიდან წლამდე იზრდება. ხორციელდება უამრავი ერთობლივი პროექტი. მრავალი თურქული ფირმა მოღვაწეობს ჩვენს ქვეყანაში და კონიუქტურა გვიჩვენებს, რომ მათი რიცხვი მომავალში უფრო გაიზრდება და ჩვენს მოქალაქეებს მიეცემა შესაძლებლობა მოიპოვონ მათთან სამუშაო ადგილები. ამიტომ, საჭიროა თურქული ენის ცოდნასთან ერთად სტუდენტმა იცოდეს შესაბამისი სავაჭრო–ეკონომიკური და ბუღალტრული ტერმინოლოგია. მას უნდა შეეძლოს სავაჭრო–ეკონომიკური საბუთების შედგენა–გაფორმება (კონტრაქტი, ვალდებულება და სხვ.) ამ დარგთან დაკავშირებული მიმოწერის წარმოება.

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

FLS403167 ბიზნესის თურქული ენა 2

პრერეკვიზიტი: ბიზნესის თურქული ენა 1

ამ კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს უფრო ცოდნა საქმის წარმოებისთვის საჭირო ყველა ტერმინოლოგიაში, შეძლოს დამოუკიდებლად შეადგინოს სათანადო საბუთები და აწარმოოს მოლაპარაკებები ბიზნესის ყველა სფეროში.

FLS107152 სპარსული ენა 1

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსის შესწავლის საგანს წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა – სპარსული. თანამედროვე სპარსული ენის სწავლების ელემენტარული კურსი მოიცავს წერა–კითხვას, ლექსიკას, გრამატიკასა და სავარჯიშოებს, მარტივი ტექსტებსა და დიალოგებს, ზეპირ მეტყველებას.

FLS107153 სპარსული ენა 2

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 1

კურსი შეესაბამება თანამედროვე სპარსული ენის სწავლების საწყის და შუალედურ დონეს (A1.2; A.2.1); მოიცავს შესაბამისი სირთულის მასალას - ტექსტებს, დიალოგებს, ლექსიკას, გრამატიკას, წერით და მოსასმენ სავარჯიშოებს.

FLS107154 სპარსული ენა 3

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 2

კურსი შეესაბამება ენის სწავლების შუალედურ დონეს (B2 Upper-Intermediate); მოიცავს შესაბამისი სირთულის მასალას - ტექსტებს, ლექსიკას, გრამატიკას, წერითსა და მოსასმენ სავარჯიშოებს.

FLS107155 სპარსული ენა 4

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 3

კურსი შეესაბამება ენის სწავლების საშუალო ინტენსიურ საფეხურს (B2.2); შედგება შესაბამისი სირთულის ტექსტების, ლექსიკური და გრამატიკული მასალის, წერითი და მოსასმენი სავარჯიშოებისგან.

FLS107156 სპარსული ენა 5

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 4

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

კურსი შეესაბამება ენის სწავლების შუალედურ დონეს (B2 Upper-Intermediate); მოიცავს შესაბამისი სირთულის მასალას - ტექსტებს, ლექსიკას, გრამატიკას, წერითსა და მოსასმენ სავარჯიშოებს. კურსი მიზნად ისახავს, მიაწოდოს სტუდენტს კონკრეტული შინაარსის მასალა იმგვარად, რომ სტუდენტმა ტექსტზე მუშაობის, მოსმენილი სავარჯიშოების გააზრების, ზეპირი მეტყველების, ლექსიკონის გამოყენების შედეგად შეძლოს ახალი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

FLS107157 სპარსული ენა 6

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 5

კურსი შეესაბამება ენის სწავლების საშუალო ინტენსიურ საფეხურს (B2.2); შედგება შესაბამისი სირთულის ტექსტების, ლექსიკური და გრამატიკული მასალის, წერითი და მოსასმენი სავარჯიშოებისგან. კურსის მიზანია, სტუდენტს მიაწოდოს შესაბამისი სირთულის მასალა იმგვარად, რომ მან შეძლოს ტექსტზე მუშაობა, თარგმნა, ახალი ლექსიკის და ფრაზეოლოგიის გამოყენება წერილობით თუ ზეპირ სავარჯიშოებში, სამეტყველო პრაქტიკაში.

FLS107158 სპარსული ენა 7

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 6

კურსი შეესაბამება ენის სწავლების ინტენსიურ საფეხურს (B2.2); მოიცავს მაღალი სირთულის ტექსტებს, მათ ენობრივ ანალიზს, წერითსა და მოსასმენ სავარჯიშოებს. კურსის მიზანია, სტუდენტს მიაწოდოს შესაბამისი სირთულის მასალა იმგვარად, რომ მან შეძლოს ტექსტზე დამოუკიდებლად მუშაობა, ინტერნეტის, ორენოვანის და განმარტებითი ლექსიკონების დახმარებით თარგმნა, ახალი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გამოყენება წერით დავალებებსა და სამეტყველო პრაქტიკაში.

FLS107159 სპარსული ენა 8

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 7

კურსი შეესაბამება ენის სწავლების მაღალი სირთულის დონეს (C1). უპირატესობა ენიჭება სპეციალური ტექსტების („საერთაშორისო ურთიერთობები“) მოსმენას, გაგებას, კითხვას, თარგმნას, ზეპირი მეტყველების ჩვევების განვითარებას.

FLS403188 ბიზნესის სპარსული ენა 1

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა 4

მსოფლიოში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის მზარდი ეკონომიკური და პოლიტიკური ამბიციები და საქართველოს საერთაშორისო - სატრანსპორტო დერეფნისა და ენერგეტიკული რესურსების უსაფრთხო გადაზიდვების ფუნქცია სხვადასხვა მიმართულებით ირანის დიდ დაინტერესებას იწვევს. ირანთან სავაჭრო და ეკონომიკური პროექტების კიდევ უფრო გაღრმავებისა

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი **საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები**

და მათში საქართველოს მოქალაქეების ჩართულობის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, სტუდენტთა მომზადება ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით და მათი აღჭურვა სათანადო სპეციფიკური ცოდნით. კურსი შეესაბამება ენის სწავლების ინტენსიურ საფეხურს (B2.2); მოიცავს მაღალი სირთულის ტექსტებს, მათ ენობრივ ანალიზს, წერით სავარჯიშოებსა და ტესტებს, საგაზეთო მასალას.

FLS403189 ბიზნესის სპარსული ენა 2

პრერეკვიზიტი: ბიზნესის სპარსული ენა 1

კურსი შეესაბამება მაღალი სირთულის (C1) დონეს და ორიენტირებულია სპარსული ენის სწავლებაზე ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებით. მთლიანად კურსი მიზნად ისახავს მაღალი სირთულის ბიზნესისა და ეკონომიკის სფეროში სპარსული ტერმინოლოგიისა შესწავლას. მოცემულ ეტაპზე სტუდენტმა უნდა შეძლოს C1 საფეხურის შესაბამისი სპეციფიკური ტექსტების თარგმნა (სპარსულიდან ქართულად, ქართულიდან სპარსულად); პროფესიული ურთიერთობების სფეროში თარგმნისა და რეფერირების ჩვევის განვითარება; ბიზნესისა და ეკონომიკის განხრით და ამავე სფეროში მოხსენებებისა და ანგარიშების წერილობით წარდგენის უნარის ჩამოყალიბება – გადრმავება.

PHIL403022 ყურანი

პრერეკვიზიტი: არაბული ენა VII

ყურანი წარმოადგენს კლასიკური არაბულის უმნიშვნელოვანეს ძეგლს, რომელიც შედგება მუჰამედ მოციქულის მიერ 610–632 წლებში მექასა და მედინაში წარმოთქმული ქადაგებებისაგან. ყურანის ენა განსხვავდება როგორც ისლამამდელი არაბული პოეზიის ასევე მისი წინამორბედი არაბული ფოლკლორული შემოქმედების ენისაგან. იგი არის სრულყოფილი და საყოველთაო თვალსაზრისით, კლასიკური არაბულის განვითარების დამაგვირგვინებელი ქმნილება. მასში საბოლოოდ არის ჩამოყალიბებული არაბული ენის გრამატიკული სტრუქტურა. ამასთანავე ყურანის ტექსტში ფიქსირდება სემიტური (არამეული, სირიული, ძველი ეთიოპური (გეეზი) და ნაწილობრივ, ინდოევროპული (ბერძნული, ლათინური) ნასესხობები. ყურანის აიების ნაწილი გართიმული პროზით არის შესრულებული. ყურანი არა მხოლოდ არაბული არამედ ისლამური კულტურის უმთავრესი ძეგლია.

PHIL403010 ოსმალური ენა

პრერეკვიზიტი: თურქული ენა VII

თავისი განვითარების მანძილზე თურქულმა ენამ (ანუ ოსმალურმა ენამ) არაბული და სპარსული ენების დიდი გავლენა განიცადა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სელჩუკებმა ისლამი მიიღეს (IX-X სს.) და მცირე აზიაში მოსვლამდე ირანულ კულტურას ეზიარნენ. ოსმალეთის იმპერიაში არაბული ენა იყო რელიგიის, მეცნიერების, კულტურის ენა. სპარსული – პოეზიისა. თურქულ ენაზე არაბულ-სპარსულის გავლენა აისახა არა მარტო ლექსიკაში, არამედ ფონეტიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსშიც. ოსმალური ენის ძირეული გარდაქმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და თურქეთის რესპუბლიკის შექმნის შემდეგ. "ენის რევოლუციის" მოთავე თვით ქემალ ათათურქი იყო. თავდაპირველად ტერმინი ოსმალური ენა შეცვალეს "თურქული ენით", 1928 წელს კი უარი თქვეს თურქული ენის ბუნებისათვის სრულიად შეუფერებელ არაბულ დამწერლობაზე და თურქული ენის ფონემურ სტრუქტურაზე მორგებულ ლათინურ გრაფიკაზე გადავიდნენ. ენის რეფორმის ძირითადი მიზანი ენის თვითმყოფადობის დამკვიდრება, ჭეშმარიტი სახის შექმნა იყო.

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

ამისათვის იწყეს უცხო ლექსიკის განდევნა და მისი თურქული სიტყვებით ჩანაცვლება. ახალი ლექსიკისათვის წყაროდ იყენებდნენ ძველ თურქულ წერილობით ძეგლებს, თურქული ენის დიალექტებსა და თურქულ ენათა ოჯახში შემავალი ენების ლექსიკას. როცა ეს საკმარისი არ იყო, ხელოვნურად ქმნიდნენ ნეოლოგიზმებს თურქული ძირებიდან.

PHIL403027 საპარსული კულტურა

პრერეკვიზიტი: სპარსული ენა VII

კურსი მოიცავს ირანის კულტურის სხვადასხვა ასპექტს უძველესი დროიდან დღემდე. მოცემული კურსი მიზნად ისახავს გააცნოს სტუდენტებს მრავალსაუკუნოვანი ირანული კულტურის ცალკეული ასპექტები; წარმოაჩინოს სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ირანული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების მნიშვნელობა და ადგილი მსოფლიო კულტურის საგანძურში; წარმოადგენს შეუქმნას სპარსულ-ქართული მრავალმხრივი ურთიერთობების შესახებ; მოამზადოს საფუძველი სტუდენტის მიერ ამ კულტურული მემკვიდრეობის აღქმის, ანალიზისა და ინტერპრეტაციისათვის.

კონცენტრაცია: შორეული აღმოსავლეთი

HIST206028 შორეული აღმოსავლეთის ისტორია

პრერეკვიზიტი: არ აქვს

შორეული აღმოსავლეთის ისტორიის შესწავლა აუცილებელია შორეული აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი ნებისმიერი სტუდენტისათვის. კურსის მსვლელობის დროს განხილული იქნება შორეული აღმოსავლეთის მდიდარი ისტორიული წარსულის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები.

PH304015 შორეული აღმოსავლეთის რელიგიები

პრერეკვიზიტი: არ აქვს

შესასწავლი მასალა მოიცავს ბუდიზმის ისტორიას წარმოშობიდან ჩანის თანამედროვე პატრიარქამდე და ტიბეტურ ბუდიზმამდე განდევნაში (ანუ ძვ.წ. Vს.–დან ახ.წ. XX ს.–ს ბოლომდე). სტუდენტები შეისწავლიან ბუდისტური მოძღვრების უძირითადეს პრინციპებს და სხვადასხვა სკლავთა განმასხვავებელ, სპეციფიკურ თეორიებს. გაეცნობიან ბუდიზმის უმნიშვნელოვანეს მოღვაწეებს, ისტორიულ და ლეგენდარულ ცნობებს მათ შესახებ, გაეცნობიან ბუდისტური ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშებს.

მოცემული კურსი ასევე მოიცავს მასალებს შორეული აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი რელიგიების შესახებ, ჩინურ–ინდურ რელიგიების და რელიგიურ–ფილოსოფიური სკოლების და იაპონური შინტოს ადრეულ ეტაპებს, ისტორიული განვითარების ძირითად მომენტებს და თანამედროვე მდგომარეობას.

თბილისის თავიუსფალი უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

ECO306018 შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა

პრერეკვიზიტი: ეკონომიკის საფუძვლები, საერთაშორისო ეკონომიკა

საგანი „შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკა“ შეგასწავლით მოცემულ რეგიონში – შორეულ აღმოსავლეთში – მდებარე ქვეყნების ზოგად ეკონომიკურ მახასიათებლებს, ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპებს ისტორიულ ჭრილში, მათ ამჟამინდელ ადგილს ზოგიერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო რეიტინგში და ა.შ. აგრეთვე, უფრო სიღრმისეულად იქნება შესწავლილი რეგიონის ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური პროცესები და ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა. შესასწავლი რეგიონი მოიცავს ოცზე მეტ ქვეყანას, რომელთაგან ლექციებზე ჩემს მიერ უმთავრესი აქცენტი გაკეთდება ჩინეთზე, იაპონიასა და სამხრეთ კორეაზე. რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს კი უმეტესწილად გავეცნობით სტუდენტების მიერ მომზადებული ინდივიდუალური პრეზენტაციებისა და მათ გარშემო გამართული დისკუსიების მეშვეობით.

PHIL306020 შორეული აღმოსავლეთის ლიტერატურა

პრერეკვიზიტი: კორეული ენა IV, ჩინური ენა IV, იაპონური ენა IV

ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურა ძირითადად მოიცავს არაბულ, სპარსულ, თურქულ და ებრაულ ლიტერატურებს. არსებობს ურთიერთგავლენები და ურთიერთმიმართებები ლიტერატურული ურთიერთობების დონეზე, რაც თვალსაჩინოა ხსენებული ლიტერატურების შედარებითი დახასიათების დროს. ახლო აღმოსავლეთის ლიტერატურის ქრონოლოგია, გეოგრაფიული ჩარჩოები და კლასიფიკაცია სასულიერო (რელიგიურ-ფილოსოფიურ) და საერო ლიტერატურად წარმოაჩენს ახლო აღმოსავლეთის ხალხთა მიერ შექმნილ მდიდარ ლიტერატურას, რომელსაც საკაცობრიო მნიშვნელობა გააჩნია. იგი არის წინა აზიის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

FLS107168 ჩინური ენა 1

პრერეკვიზიტი: არ აქვს

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ენობრივი და საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე:

- **წერა.** სტუდენტი სწავლობს იეროგლიფის წერას, მოცემული თემატური სიტყვების გამოყენებით ადგენს წინადადებებს, წერს კარნახს.
- **კითხვა.** გავლილი მასალის საფუძველზე, სტუდენტი კითხულობს ძირითად და დამატებით ტექსტს.
- **ლაპარაკი.** თავდაპირველად, სტუდენტი ასრულებს ფონეტიკურ სავარჯიშოებს, აუმჯობესებს გამოთქმებს. შემდეგ გავლილი მასალის საფუძველზე, შეუძლია მოამზადოს დიალოგი, ისაუბროს შესწავლილი თემის შესახებ.
- **მოსმენა.** მოსმენის უნარის გასანვითარებლად სტუდენტი ისმენს როგორც ცოცხალ მეტყველებას ასევე აუდიო ჩანაწერს. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გრამატიკის და ლექსიკის სწავლებას.

ამის გარდა, სტუდენტი ემზადება ჩინური ენის დონის გამოცდის პირველი დონისთვის.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

FLS107169 ჩინური ენა 2

პრერეკვიზიტი: ჩინური ენა 1

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ენობრივი და საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე: კურსი სტუდენტებს შეასწავლის ჩინური ენის გამოთქმებს, A1 დონის შესაბამის გრამატიკას და ლექსიკას. სემესტრის კურსის დასასრულს სტუდენტების დონე უნდა შეესაბამებოდეს Beginner (A1). ამ ეტაპზე სტუდენტს უნდა ჰქონდეს დახვეწილი და კარგი გამოთქმები, შეძლოს შესწავლილი ლექსიკის გამოყენებით საუბარი და გაგება.

FLS207170 ჩინური ენა 3

პრერეკვიზიტი: ჩინური ენა 2

სტუდენტის სასტარტო დონე არის დამწყები A2.1, ფლობს დაახლოებით 500 სიტყვას. კურსის დასასრულს მისი დონე უნდა შეესაბამებოდეს A2.2 დონეს, დაეუფლება დაახლოებით 1200 სიტყვას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს შემდეგ სემესტრში დაეუფლოს B1 დონეს.

FLS207171 ჩინური ენა 4

პრერეკვიზიტი: ჩინური ენა 3

სტუდენტმა უნდა შეეძლოს გარკვეულ დონეზე ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი წერილობითი და ზეპირი ფორმით, წაიკითხოს სხვადასხვა ხასიათის ტექსტი, ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, გაიგოს შინაარსი. გარდა სახელმძღვანელოსა, უნდა ქონდეთ გავლილი დამატებითი მასალა პოლიტიკურ და ეკონომიკურ თემებზე. კურსის სრულად გავლის შემდეგ, სტუდენტების ჩინური ენის დონე სასწავლო წლის ბოლოსთვის უნდა შეესაბამებოდეს B1-ის დონეს.

FLS307172 ჩინური ენა 5

პრერეკვიზიტი: ჩინური ენა 4

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ენობრივი და საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე. ამ ეტაპზე სტუდენტს უნდა შეეძლოს თავისუფლად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი წერილობითი და ზეპირი ფორმით, წაიკითხოს სხვადასხვა ხასიათის ტექსტი, ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, გაიგოს სრული შინაარსი. კურსის სრულად გავლის შემდეგ, სტუდენტების ჩინური ენის დონე სასწავლო წლის ბოლოსთვის უნდა შეესაბამებოდეს B2-ის დონეს.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის საგნების ანოტაციები

FLS107173 ჩინური ენა 6

პრერეკვიზიტი: ჩინური ენა 5

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ენობრივი და საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე. ამ ეტაპზე სტუდენტს უნდა შეეძლოს თავისუფლად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი წერილობითი და ზეპირი ფორმით, წაიკითხოს საშუალო სირთულისა და ხასიათის ტექსტი, ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, გაიგოს სრული შინაარსი. კურსის სრულად გავლის შემდეგ, სტუდენტების ჩინური ენის დონე სასწავლო წლის ბოლოსთვის უნდა შეესაბამებოდეს B2-ის დონეს.

FLS107174 ჩინური ენა 7

პრერეკვიზიტი; ჩინური ენა 6

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ენობრივი და საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე. ამ ეტაპზე სტუდენტს უნდა შეეძლოს თავისუფლად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი წერილობითი და ზეპირი ფორმით, წაიკითხოს სხვადასხვა ხასიათის ტექსტი, ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, გაიგოს სრული შინაარსი. კურსის სრულად გავლის შემდეგ, სტუდენტების ჩინური ენის დონე სასწავლო წლის ბოლოსთვის უნდა შეესაბამებოდეს C1-ის დონეს.

FLS107175 ჩინური ენა 8

პრერეკვიზიტი: ჩინური ენა 7

სტუდენტმა უნდა შეძლოს თავისუფლად ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი წერილობითი და ზეპირი ფორმით, წაიკითხოს სხვადასხვა ხასიათის ტექსტი, ამოიცნოს საკომუნიკაციო სიტუაცია, გაიგოს სრული შინაარსი. პარალელურად, სტუდენტმა უნდა მოამზადოს ჩინური ენის დონის HSK5 ლექსიკა რათა სემესტრის ბოლოს შეძლოს მომზადება საბოლოო გამოცდის ტესტისთვის, რომელშიც შევა სახელმძღვანელოს შინაარსის 50% და ჩინური ენის დონის HSK5 (ანუ C1)-ს 50%.

FLS403192 ბიზნესის ჩინური ენა 1

პრერეკვიზიტი: ჩინური ენა 4

კურსი ორიენტირებულია ძირითადი ბიზნესის დარგში ენობრივი და საკომუნიკაციო მიმართულებების განვითარებაზე. ამის გარდა, სტუდენტი კითხულობს ბიზნეს თემატიკის ჩინურენოვან საკითხავ მასალას, ეცნობა ჩინეთში ბიზნესის წარმოების კულტურას, ამავდროულად ის ამ გზით შეისწავლის ჩინელების ტრადიციებსა და ჩვევებს, ჩინელი ბიზნესმენის ფსიქოლოგიას და საქმისადმი დამოკიდებულებას, რათა მომავალში გაუადვილდეს ჩინელთან სხვადასხვა სახის მოლაპარაკებების წარმოება და მათთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება.

